საქმე #1/2402-19
(გამოძიების №0----------)

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი

საქართველოს სახელით

30 დეკემბერი, 2019 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია

მოსამართლე - ალექსანდრე იაშვილი
სხდომის მდივანი - თამარ გიორბელიძე

ბრალდების მხარე:
პროკურორი - ი----------,

დაცვის მხარე:
ბრალდებული - გ---------- (დაბადებული - 1----------, საქართველოს მოქალაქე, პირადი №6----------, ნასამართლობის არ მქონე, მცხოვრები: ქ----------ში),

ადვოკატი - თ----------,

კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილი.

დისპოზიცია: ქრთამის აღება, ესე იგი მოხელის მიერ პირდაპირ ფულის მოთხოვნა და მიღება, რათა ამ მოხელემ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისგან ან გამოიყენოს თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად.

სხდომის სახე - ღია

აღწერილობით - სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლომ დაადგინა:

გ---------- შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 5----------ს N3----- ბრძანებით დაინიშნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ს---------- სამმართველოს მებაჟე - ოფიცრის თანამდებობაზე და წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

გ----------ს სამსახურის შესრულების ადგილად განსაზღვრული ჰქონდა ა-----ის სტაციონარული რენტგენოსკანერი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ს---------- სამმართველოს თანამშრომლის სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, გ----------ს სხვა ფუნქციებთან ერთად ევალებოდა სატრანსპორტო საშუალებით შემოსული ტვირთის შემოწმება, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების სკანირების მონიტორინგი, სკანირების შედეგად მიღებული ინფორმაციის ერთიან ბაზაში ფორმირება-დამუშავება, ტვირთის შესახებ აღრიცხვის მოწმობაში შესაბამისი აღნიშვნის წარმოება, ყოველდღიურად შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარმოება.

2019 წლის იანვარში, შპს „ბ----------“ დამფუძნებელი რ----------, რომელსაც სურდა თ---------ს რესპუბლიკიდან საქართველოში სამშენებლო მასალების შემოტანა, საბაჟო პროცედურებში გარკვევის მიზნით დაუკავშირდა და შეხვდა გ----------ს. ამ უკანასკნელმა აუხსნა რ----------, რომ მუშაობდა ს-----ს საბაჟო გამშვებ პუნქტზე სკანერთან, რომლითაც ხდება სატვირთო მანქანების/შემოტანილი საქონლის შემოწმება და სურვილის შემთხვევაში შეეძლო დახმარება გაეწია არადეკლარირებული საქონლის საქართველოში შემოტანაში.

2019 წლის 2 და 9 აპრილს, ქ. ბ------ში გ---------- შეხვდა რ---------- და დაჰპირდა, რომ 3000 ლარის სანაცვლოდ, მისი მორიგეობის პერიოდში უზრუნველყოფდა ს------ს საბაჟო გამშვებ პუნქტზე, თ---------დან შემოტანილი არადეკლარირებული საქონლის მასთან შემოწმებაზე მოხვედრის შემთხვევაში დაუბრკოლებელ და უპრობლემო გატარებას. 2019 წლის 12 აპრილს, ქ. ბ------ში, გ----------მ რ---------- გამოართვა ქრთამის სახით მოთხოვნილი 3000 ლარი.

2. მტკიცებულებათა ერთობლიობა:

2.1. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ,,მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ,,გამამტყუნებელი

განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. მტკიცებულებითი სტანდარტი - ,,გონივრულ ეჭვს მიღმა“, სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

2.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ბარბერას (Barberà) და სხვათა საქმეზე განმარტებულია, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა.(იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Barberà, Messegué, Jabardo v. Spain, პუნქტი 68). ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიციაშია, ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები და განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. (იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Bulychevy v. Russia, პუნქტი 32.).

2.3. ამდენად, სასამართლო ყურადღებას შეაჩერებს თითოეული მტკიცებულების შინაარსზე, იმსჯელებს მათი უტყუარობის შესახებ და განმარტავს, თუ რომელი ფაქტების დადგენის შესაძლებლობას იძლევა ერთობლივად და ინდივიდუალურად ბრალდების მხარის მტკიცებულებები.

2.4. სასამართლო აღნიშნავს, რომ გ----------ს მიერ დანაშაულის - ქრთამის აღების დასადასტურებლად, ბრალდების მხარემ სასამართლოს წარმოუდგინა მოწმეების - რ----------ის, ზ----------ის, გ----------ს, გ----------სა და ვ---------ის ჩვენებები, თ----------სა და გ----------ის გამოკითხვის ოქმები, ვიდეო-აუდიო ჩანაწერები და მათი წერილობით ვერსია, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება - ფულადი თანხა 3 000 ლარის ოდენობით, ოქმი ფულადი ნიშნების ფიქსირებისა და გადაცემის შესახებ:

2.5. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას **რ----------მ** განმარტა, რომ შპს „ბ----------“ სახელით თ---------დან ხშირად შემოჰქონდა „ბ-------“ ფირმის სხვადასხვა დასახელების საქონელი. 2019 წლის იანვრის ან თებერვლის თვეში, ს------ს საბაჟოზე გაიცნო გ----------, რომელმაც საუბრისას არადეკლარირებული საქონლის შემოტანაში დახმარება შესთავაზა. კონკრეტულ დეტალებზე საუბარი პირველ შეხვედრაზე არ ყოფილა. ტვირთის შემოტანაზე, საბაჟო პროცედურებზე და ავტომანქანის სკანირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შემდგომ შეხვედრებზე ისაუბრეს. გ----------ს

რამდენჯერმე შეხვდა ქალაქ ბ------ში და მასთან კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. საუბრისას ბრალდებული უმტკიცებდა, რომ „პატივისცემის“ შემთხვევაში რ----------ის ავტომანქანას სკანირებას პრობლემის გარეშე გაატარებდა. „პატივისცემაში“ გ---------- თანხის გადაცემას გულისხმობდა. კარგი ურთიერთობის მიუხედავად, გ----------ს ქცევაში ეჭვი შეეპარა და შესაბამის სამსახურს დაუკავშირდა. განცხადება შეიტანა ა----------– სამსახურში, სადაც აუხსნეს თუ რა საფრთხეს შეიცავდა მსგავსი ქმედებები. ნებაყოფლობით ჩაერთო ოპერატიულ ღონისძიებებში და განახორციელა ბრალდებულთან შეხვედრების ფარული აუდიო და ვიდეო ჩაწერა. გ----------ს ბ------ში, სხვადასხვა ადგილებში ხვდებოდა. დაპირებისამებრ, ბოლო შეხვედრაზე გ----------ს წინასწარ გადასცა 3000 ლარი. სანცვლოდ ბრალდებული უნდა დახმარებოდა არადეკლარირებული საქონლის საქართველოში შემოტანაში. ტვირთი წინასწარ შეთანხმებული გეგმის შესაბამისად, დათქმულ დროს (რომელიც თანხვერდაში იქნებოდა გ----------ს მორიგეობასთან) შევიდოდა საბაჟო ტერმინალში. ბრალდებულმა იცოდა ავტომანქანის ნომერი, რომლითაც რ----------ის კომპანიის კუთვნილი ტვირთი ს------ს საბაჟოზე შევიდოდა. შეთანხმების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში გ---------- ტვირთის სკანირებას იმდაგვარად განახორციელებდა, რომ დამალული საქონელი სურათზე არ გამოჩნდებოდა. მოწმემ დაადასტურა, რომ გარდა პატივისცემისა, გ----------მ სთხოვა კომპანია „ბ----------“ სახელით შემოეტანა „აპარატი“, რომელიც საქართველოში ძვირი ღირდა. მისთვის ცნობილი არ არის სურდა თუ არა გ----------ს ავტომანქანის შეძენა. დ----------სთან საქმიანი ურთიერთობა არ ჰქონია. მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ გ----------მ გააცნო საბაჟოზე დადგენილი პროცედურები. ბრალდებულმა ურჩია ტვირთი წინასწარი დეკლარირებით შემოეტანა. საქართველოში შემოტანილ ტვირთში არადეკლარირებული საქონლის დასაშვები რაოდენობა 5 პროცენტზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. გ----------სთვის კონსულტაციისთვის თანხა არასდროს შეუთავაზებია.

2.6. 2019 წლის 12 აპრილის ოქმის (თანხის გადაცემის შესახებ) თანახმად, რ---------- სისხლის სამართლის საქმეზე ჩასატარებელი ღონისძიების ფარგლებში (გ----------სთვის გადასაცემად) გადაეცა 3 000 ლარი.

2.7. ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის მიხედვით, 2019 წლის 12 აპრილს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ა----------ი სააგენტოს გმს გამომძიებელ გიორგი გიორგაძის მიერ დაკავებულ იქნა გ----------, რომელსაც ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც სხვადასხვა ნივთებთან ერთად, შარვლის წინა მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა ფულადი თანხა 3 000 ლარის ოდენობით (30 ცალი 100 ლარიანი კუპიურა). აღნიშნული ოქმი დადასტურებულია საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირთა ხელმოწერებით.

2.8. სასამართლო აღნიშნავს, რომ რ----------ის ჩვენების თანახმად, გ---------- რომელიც იყო მებაჟე-ოფიცერი, მუშაობდა სკანერზე და ამოწმებდა საბაჟოზე შემოსულ ტვირთს, ,,პატივისცემის“ სანაცვლოდ დაჰპირდა არადეკლარირებული საქონლის საქართველოში შემოტანაში დახმარებას. მოწმის ჩვენებით დგინდება, რომ შეთანხმებისამებრ შპს „ბ----------“ კუთვნილი ავტომანქანა ს------ს საბაჟო გამშვებ პუნქტზე შევიდოდა გ----------ს მორიგეობის დროს, რომელიც „პატივისცემის“ სანაცვლოდ განახორციელებდა შესაძლო მოქმედებებს არადეკლარირებული საქონლის საქართველოში შემოტანის მიზნით. რ----------ის ჩვენებით, ვინაიდან მან გ----------ს მოქმედებები არაკანონიერად და საეჭვოდ მიიჩნია, მიმართა საგამოძიებო ორგანოს. ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში რ---------- დათანხმდა გ----------ს შეთავაზებას და დახმარების სანაცვლოდ მას გადასცა 3000 ლარი. სასამართლო აღნიშნავს, რომ თანხის - 3000 ლარის გ----------ს მიერ აღების ფაქტი უტყუარად დასტურდება გამოკვლეული მტკიცებულებებით და ფაქტობრივად სადავო არ არის. დაცვის მხარის განმარტებები ძირითადად შეეხება თანხის მიზნობრიობის საკითხს, შესაბამისად, სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ფარულ ვიდეო-აუდიო ჩანაწერებზე, რომლებიც მაღალი სიზუსტით იძლევა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ ვიდეო-აუდიო ჩანაწერები ამყარებს რ----------ის ჩვენებას თანხის გადაცემისა და მისი მიზნობრიობის საკითხთან მიმართებით. ჩანაწერებიდან ნათლად ირკვევა თუ რა საუბრები წარიმართა გ----------სა და რ---------- შორის, თუ რა მიზნით ითხოვდა გ---------- ,,პატივისცემას“ და რას ჰპირდებოდა რ----------. სწორედ აღნიშნული ვიდეო-აუდიო ჩანაწერები წარმოაჩენს ნათლად გ----------ს დანაშაულებრივ განზრახვას, აქტიურ როლს, დაინტერესებას და სამომავლო გეგმებს რ----------თან ურთიერთობაში, რაც მთლიანად გამორიცხავს რაიმე სახის პროვოკაციას, რაზეც დაცვის მხარე მიუთითებდა დასკვნით სიტყვაში, კერძოდ:

2.9. 2019 წლის 2---------ს ინფორმაციის გამოთხოვის ოქმის თანახმად, გმს გამომძიებელ ვ----------ის მიერ რ----------ის კუთვნილი ჩამწერი მოწყობილობიდან - „ფლეშკადან“ CD დისკზე გადაწერილ იქნა რ----------ისა და გ----------ს შეხვედრის აუდიო ჩანაწერი.

2.10. 2019 წლის 2---------ს აუდიო-ვიდეო ჩანაწერების მიხედვით, მობილურ ტელეფონზე საუბრობენ გ---------- და რ----------, მოსაუბრეები აზუსტებენ შეხვედრის ადგილს, ხვდებიან ერთმანეთს, მოკითხვისა და ზოგადი საუბრის შემდეგ გ---------- ეკითხება რ----------: „ბიჭო, რეისებს რას შობი, რას აპირებ?“; **რ----------:** „რაღაცეებს ვგეგმავ უახლოეს ხანებში, კაი რეისებს. არ ვიცი, ვნახოთ. მეწილეების ერთად რაღაცა არის და, დაკვეთები და ვნახოთ“; **გ----------:** „მეწილე ისევ დ------ი?“; **რ----------:** „არა დ------ი არა, დ------ს მისი იგი აქ,

მე ჩემი“; **გ----------:“** „აბა მეწილეებიო“; **რ----—----------:** „კი მარა, ყველა იმაში ხომ არ გადეიკვეთება მარა, ჩვენ მეგობრობაში ახლა ურთიერთობაში კი მარა, ისე დანარჩენი...“; **გ----------:** „მე ის მინდა ბიჭო, რაღაცის შემოტანა მინდა, აპარატია პატარა და ცოტა ძვირიც ღირს აქანე მიხვდი, რომ განვაბაჟო ცალკე განბაჟების პროცედურები არც მინდა რო, რაღაცა ისე გაკეთდეს და რეისს რო აპირებ შევაგდოთ და ან ისე გავაკეთებ ვაბშე არ შევიტან დეკლარაციაში მარა, თუ რაღაცაა თქვენგან ჭოჭმანი და რაღაცაა, პრობლემა იქნება შევიტანოთ დეკლარაციაში და პროსტა...“; **რ----—----------:** „მაი რო გითხრა სიმართლე, მაი შემოტანა რაღაცა იგი... იმასთან მაგფერი რაცხა ჩემში ეჭვი არ შეეპარონ გაიასნებული მე არ მაქ ახლა მე მაგენთან მაგფერი თემა და“; **გ----------:** „ვისთან?“; **რ----—----------:** „მეწილეებთან“; **გ----------:** „აა“.**რ----—----------:** „ხოდა მაგაზე უნდა გევიარო წესით და იმით რა ქვია“; **გ----------:** „ხოდა უთხარი რომ მე მინდა ეს...“; **რ----—----------:** „მაგაზე უნდა იმასა ვქნა ახლა...“. **გ----------:** „ორი რეისი შამევიტანეთ ხო?“; **რ----—----------:** „კი“; **გ----------:** „ერთი იყო არადეკლარირებული, ძვირად ღირებული წებოცემენტი და ერთი იყო ჟეშტი“; „მე მაგისი ინტერესები არ მაქ მეთქი რავა გითხრა, ახლა... ჟეშტს ბაჟის ... მაგას სიტყვაზე ვამბობ ახლა და ისე კი არა, ჟეშტს ერთი 5 ათასი ლარის შეღავათი მარა, რაც შეიძლებოდა ჩემიდან, ეგ არის სახელმწიფოს ყველაი იპარავს მაგ დედა მოტ....ულს და თუ კაი საქმეში გამიყენებ და კარგად შეხედავ და შეინარჩუნებ მაგ საქმეს იგერ არი, მე ასე ვუთხარი დ------საც, მარა ერთი დ------ს ნახვა მინდა კიდე ახლა, გათიშული რატომ აქ ტელეფონი?“; **რ----—----------:** ,,არ ვიცი არ იყო აქეთ მაი“;

გ----------: „ხო არა, გეიარე, შეეკითხე თუ რაცხა პრობლემა არ შეიქმნება ისეთი, არც მწვადი დაიწვება არც შამფური“; **რ----—----------:** „კი ბატონო“; **გ----------:** „დანარჩენი ახლა მე, ჩემზე რაც არის დამოკიდებული შემიძლია უფრო იქეთაც გავაკეთო, მაგრამ, საქმე რაშია იცი, ბოროტად არ უნდა დამიფასდეს ეს ყველაფერი“; **რ----—----------**: „ხოდა მაგას გეუბნები გ---- რაზეა საუბარი ძმა“. **გ----------:** „ამას მე რასაც ვაკეთებ, მინიმუმ წილში დაგიჯდება ზოგი მარა, მე არ მაქ მაგის ინტერესი, მე კაცურად მოხვედი, ჩერეზ დ------ს გარეშე - მელაპარაკე, მიუხედავად იმისა რომ ბევრი რაღაცეები ემჩნევა დ------ს, აქამდე უნდა დაერეკა მაგას, ჩემთვის. რა ქენი იცი ძმობაში, მიაწვდინე ხმა რომ შემომეხმიანოს“. **რ----—----------:** „მაგას ვიზამ. **გ----------:** „მე ახლა ვხვდები მაგის ტაქტიკებს გეიგე? რაც რომ არ შეიძლება და არცერთ ვარიანტში არ ...“. **რ----—----------:** „მე არ ვიცი, რამე თუ გაგაბრაზა და შენ–იგი, მაი შენ უთხარი და მეც თუ რამე შენ გადმოცემულს...“; „შენ ნათქვამს მეც გადავცემ მარა, შენ თუ რამე გაგაბრაზა, მე ხომ არ გადავცემ შენს ნათქვამს“. **გ----------:** „არა, ჩემი გაბრაზება არ გადასცე მაგას, უბრალოდ უთხარი რომ დამირეკოს“; **რ----—----------:** „შენ თუ რამე გაწყენინა შენ ელაპარაკე“; **გ----------:** „დანარჩენი, ის რომ... ბიჭო რა არის იცი?“. **რ----—----------:** „მე შენ ჩემ საქმეზე მელაპარაკე ახლა, გადატანა გადმოტანას

დაანებე თავი“. **გ----------:** „არა, არა მომისმინე, მომისმინე რ-------“. **რ----—----------:** „კი ბრატ, კი“. **გ----------:** „ბაზარი არ არი“. **რ----—----------:** „შემოტანაზე რაცხა არის, მე მაქ მეწილეები პირდაპირი ხაზი მაქ საქმეს ვაკეთებ, მივდივარ მოვდივარ და ამას იმას ვშვები და იქ რაცხა სხვა იმაზე რომ მეწილეებსაც ჩემზე რომ მე ცალკე დევწყე მუშაობა მაგფერი რაცხაც არ მინდა რომ მომიხდეს და ამიტომ მარტო, მარტო...“. **გ----------:** „დ------მ უფრო სხვანაირად მითხრა რ-------“. **რ----—----------:** „მარტო მე არ ვწყვიტავ მაგ საქმეს“. **გ----------:** „მე მითხრა რომ შენს ერთად ვართ საქმეში, ასე და...“. **რ----—----------:** „კი ბატონო, მას აქ ახლა იგი რა ქვია, მანქანების ბიზნესი მარტო, მე ცალკეც მაქ ჩემი ბიზნესი. რემონტებს ვაკეთებ, ტენდერებს ვაკეთებ, ეს ხომ ყველგან ჩემთან არ იქნება საქმეში. **გ----------:** „კი, გასაგებია“. **რ----—----------:** „იმას მისი ოჯახი აქ, მე ჩემი ოჯახი მაქ, მე ჩემი გასავალი მაქ, იმას მისი გასავალი აქ ძმაო. შენ მე მითხარი ჩემი დანაშაული რამე თუ არის და რამე თუ გინდა, მაგი გაქვს მეტი არაფერი თხოვნა, მე მითხარ მაი საქმე მე და დანარჩენს მე თვითონ გავარკვევ“. **გ----------:** „დანაშაული შენი, შენ, მე არც იმიტო მირეკია, რომ რაღაცა დანაშაული...“. **რ----—----------:** ,,ჰოდა ახლა ორი სამი დღე თუ ვერ მოვედი და ვერ შეგხვდი რაცხა მქონდა მიზეზი და კაცები ვართ“;

რ----—----------: „გ---- მაგ საქმეს მოვიკითხავ.... შემოტანის იმას დაგილაგებ.“. **გ----------:** „დანარჩენი... შემოსვლამდე მაგ თემას თუ გაარკვევ, მაცოდინე. თუ პირდაპირ უარზე არიან, იგიც მაცოდინე, სხვა გზა ვეძებო“. **რ----—----------:** „...ლამაზს მეტყვი იმფერს, მაგაზე უნდა გევიარო და მოვედი იმ საქმისთვის და იმისთვის, რომ მზად ვარ რაცხა დეგველაპარაკა. და თუ მასე გაინეტრესებს და გაწყობს, მაგასაც გევიგებ და გეტყვი“. **გ----------:** „მაი გამიგე, ძმა და მეტი სხვა არაფერი“. **რ----—----------:** „მე მაგიზა ვარ მოსული და. იმ წინა იმაზე თუ რამეს მეტყოდი... უფრო სიმართლე რომ გითხრა, მაგიზა უფრო ველოდებოდი. მაგას უფრო ველოდებოდი შენგან“. **გ----------:** „მე მატერიალური, ფინანსური ინტერესი არ გამაჩნია!“. **რ----—----------:** „ვსიო, გასაგებია, ბრატ და. რაზეა საუბარი, ბრატ“. **გ----------:** „ღმერთმა არ დამაჭირვოს და თუ რაღაცა ისე დამიდგები გვერდში და რაღაცა პატივს მცემ, ანალოგიურად ისევ შემიძლია კიდევ პატივი გცე, მეტი რა გითხრა?!“. **რ----—----------:** გეიხარე, ძმა. გ---- ჯიგარი ხარ! კაი კაცი ხარ! აღნიშნულის შემდეგ მოსაუბრეები შორდებიან ერთმანეთს.

2.11. **სასამართლო აღნიშნავს, რომ** 2019 წლის 2---------ს ვიდეო-აუდიო ჩანაწერის თანახმად, საუბარს „რეისებზე“ იწყებს გ---------- და ეკითხება რ---------- აპირებს თუ არა ტვირთის საქართველოში შემოტანას. ბრალდებული რ---—---------- უხსნის, რომ სურს ნივთის საქართველოში შემოტანა, რომელსაც მის ავტომანქანაში მოათავსებს, მაგრამ დეკლარაციაში არ შეიტანს. თუ მისგან რაიმე ჭოჭმანი იქნება, ნივთი დაფიქსირდება დეკლარაციაში. რ---------- პასუხობს, რომ უახლოეს დღეებში აპირებს „რეისების“ გაკეთებას, თუმცა ეს საკითხი მის მეწილეებს უნდა შეუთანხმოს. ჩანაწერში საუბარია ვინმე „დ--------

-“. გ---------- ეკითხება რ----–---------- არის თუ არა ,,დ------“ ისევ მისი მეწილე. რ----–---------- პასუხობს, რომ არა. ბრალდებულის საუბრიდან ირკვევა, რომ იგი გაბრაზებულია „დ---------“. იგი რ----–---------- სთხოვს, რომ დაურეკოს „დ-------“, რაზეც რ----–---------- თანხმდება და, ამასთან, განუმარტავს, რომ თუ რაიმე აწყენინა „დ-------“ თავად გაარკვიოს მასთან. გ---------- ჩანაწერში არც პირდაპირ და არც ირიბად არ ახსენებს, რომ რ----–---------- აქვს მისი ვალი ან იმის გამო, რომ „დ-------“ არ შეასრულა მის წინაშე არსებული ვალდებულებები, ეს ვალდებულებები უნდა შეასრულოს რ----–----------მ და გადაუხადოს ფულადი თანხა „დ------ს“ ნაცვლად. ასეთი გარემოებები ვიდეო-აუდიო ჩანაწერიდან პირდაპირ ან ირიბად არ დასტურდება. ამასთან, გ---------- ჩანაწერში საუბრობს, რომ ერთი მხრივ მატერიალური ინტერესი არ გააჩნია, ხოლო მეორე მხრივ აღნიშნავს, რომ თუ „პატივს სცემს“ რ----–---------- და დაუდგება გვერდში, თვითონაც „სცემს პატივს“, როგორც წარსულში (მიანიშნებს წარსულში ორი რეისის შემოტანაზე, რა დროსაც გ---------- დაეხმარა არადეკლარირებული საქონლის შემოტანაში). ბრალდებული იმასაც აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ყველა პარავს და თუ კარგ საქმეში მოიხმარს, პრობლემა არ არის. ამგვარი დახმარების სანაცვლოდ ზოგიერთი წილში უჯდება ბიზნესმენს, თუმცა თავად ამის ინტერესი არ აქვს.

2.12. 2019 წლის 9-------–-- ვიდეო-აუდიო ჩანაწერის თანახმად (რ----–---------- ისა და გ----------ს შეხვედრა ქ. ბ------ში ა----–-----–--- და ტ------ ქუჩის კვეთაზე მდებარე კაფე-ბარ „ს-----–-“), საუბრობენ რ----–---------- და გ----------:

რ----–----------: „რამდენი სმენა(?) გაქ რა არი“. **გ----------:** „მოი ეგერ დავჯდეთ“,.... „რამე შამოგაქ?“; **რ----–----------:** „--- მაგიც და მაგის თემებიც და. აქანე სალაპარაკო მაი არაა“. **გ----------:** „იგერ შევიდეთ და დავჯდეთ და. მოვწიოთ და შიგნით შევიდეთ“. **რ----–----------:** „გ---- მე, წინადღეს ჩვენ რომ შევთანხმდით გახსოვს რა ვილაპარაკეთ?“. **გ----------:** „ რა ... ?“. **რ----–----------:** „ბოლოს ... კაროჩე, უახლოეს დღეებში იგიც იქნება და აგი არის 2 000 ლარი რაფერც მე და შენ შევთანხმდით, (ითვლის ფულს 1,2, 3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20) აგერაა ძმაო ჩეიდევი, შეგარგოს ღმერთმა (გ----------მ თანხა აიღო და გადაკეცა); **რ----–----------:** „და აწინდელი 2-3 დღეში სადღაც ერთი კვირის შუალედში იქნება და ბარემ მაგასაც იმას ვიზამ რა ქვია, შევათანხმებ ჩემს მეწილეებთან და წინასწარ იქნება მაგიც, არ არი პრობლემა და კიდე რაღაცეები მაინტერესებდა დეტალი გ---- აწი რომ წამოვიღებ სკანერზე მოვხვდები არ მოვხვდები ბოლოს რომ რაღაცა ... მაი თემა რაფერ იქნება. წინასწარ შენ სმენაშიდა შემევიდე?“. **გ----------:** „მე გეტყვი დროს, ახლა შენ ამ რეისზე ამბობ ხომ?“. **რ----–----------:** „ხო“. **გ----------:** „წინასწარი დეკლარირებით ჯობია, თუ როგორ ჯობია იმასაც გეტყვი“. **რ----–----------:** „ხოდა?“. **გ----------:** „გააკეთებენ, თუ წინასწარ იქნება გააკეთებ ს----- ში, თუ სკანერი მოუწევს მოვა ჩემთან. მეორე ვარიანტში, თუ რისკებით, რისკების მიხედვით, მაქსიმალურად ვეცდები რომ წითელს აგარიდო(?).

წითელი არის ვაბშე სხვა თემა. წითელს ვგულისხმობ, ორნაირი წითელია, ერთი წითელი არის ჩემთან ხდება მანქანა, მეორე წითელი არის როცა მანქანა ექვემდებარება გახსნას და დათვალიერებას ვაბშე. მაგი თუ მოხდა, მაგი ვაბშე სხვა თემაა. **რ----—----------:** „არა, მაგფერი არ უნდა მოხდეს საქმეს რომ იმას შობი და“. **გ----------:** „ხო, მაგას ახლა რაღა იცი, მე მაქსიმალურად იმას ვშვები რომ ვინმეს ინიციატივით არ მოხდეს, თუ კომპიუტერმა გააწითლა, ავტომატურად თუ მოხდა, მაშინ გინდა არ გინდა გეიხსნას და დეიცალოს, მაგრამ იმ შემთხვევაშიც გეტყვი როგორ ჯობია რომ გართულება არ მოყვეს საქმეს“. **რ----—----------:** „ჰმ“. **გ----------:** „ 80%-ი ჩემთან რომ მოხდება და ჩემზე რაც არის ხომ, წონა იქნება იქ, დასკანერება იქნება, დასკანერებითაც ჩანს რეალურად რაღაც, სურათი ისე შემიძლია დავამუშაო სხვამ ვერავინ ვერ გაიგოს რომ, აქ ამის გარდა ესეცაა“. **რ----—----------:** „ჰმ. ძალიან კარგი“. **გ----------:** „დანარჩენი ახლა თუ ექვემდებარება რომ ვიღაცამ უნდა გახსნას და დაათვალიეროს მაგას არაფერი არ ეშველება, მაგრამ მაგისთვისაც შესაბამისად მზად უნდა (არ ასრულებს) მზად ყოფნაში ჩაგაყენებ, იმიტომ, რომ თუ მოხდა... **რ----—----------:** „ (აწყვეტინებს)არ უნდა მოხდეს მაგას ვამბობ“. **გ----------:** (ფული ჩაიდო ჯიბეში) ხო მაგი ახლა იშვიათად რომ მოხდეს მაგი, კომპიუტერის მიხედვით ასში ერთი ხდება. მაგრამ... ..მაგრამ, იმ შემთხვევაშიც რომ მოხდეს, ღირებულების 5%-მდე რომ იყოს, ღირებულების 5%-მდე“. **რ----—----------:** „(აწყვეტინებს) მაი ვერ მივხვდი ეე“. **გ----------:** „ანუ, მოგაქვს მაგალითად 100 ლარის საქონელი ხომ“. **რ----—----------:** „ხო“. **გ----------:** „მთლიან ინვოისში გიწერია 90 ლარი, პლიუს ტრანსპორტირება, პლიუს ის, პლიუს ის. მთლიანობაში არის, გამოვიდა ჯამში 100 ლარი. ტრაილერზე გაქ 100 ლარის საქონელი. **რ----—----------:** „კი“. **გ----------:** „5 ლარამდე არადეკლარირებული რომ გქონდეს, ანუ 100 ლარის გარდა, იმის გარდა რომ ვთქვათ, ეს ცალკე ღირდეს 5 ლარი, პრობლემა არაა. თუ იმაზე მეტია, ირიცხება ჯარიმა, მარა მიზერული ჯარიმა. მერე თუ კიდევ 50%-ზე მეტია, ის ირიცხება 100% ჯარიმა, ანუ 100 ლარს ისევ 100 ლარი დაემატება“. **რ----—----------:** „ჯარიმა?“. **გ----------:** „ჰმ. ახლა ეს, მაგ წითელს, იმიტომ ვამბობ, მაგი რომ უკვე რა , მაგი არის სერიოზული თანხა, მე ამას რასაც ვაკეთებ ეს არის ძალიან დიდი რისკი“. **რ----—----------:** „ბაზარი არაა“. **გ----------:** **<u>„ამიტომ რაც ჩემ თავზეა მარტო იმის ფულს გახდიებ.</u>** მე ამას სხვას ვერ დავავალებ, რომ ვთქვათ წითელში მოხდა, იმიტო რომ იქ თან რა ართულებს საქმეს იცი? მანქანა სადაც იხსნება 12 ცალი ვიდეო-კამერა უყურებას იქ“. **რ----—----------:** „მაი იმაში, შენთან, ვიდეოკამერა“. **გ----------:** „რამპაზე(?“).**რ----—----------:** „გასაგებია, კონტროლი რომაა ხომ?“. **გ----------:** „კი“, მეორე იქ შედის, გადალმა არის რამპა(?), იქ იხსნება და თორმეტი ცალი ვიდეო-კამერა უყურებს მარტო, იქ სადაც რომ ეს მანქანა იხსნება“. **რ----—----------:** „ჰმ“. **გ----------:** „აქ უკვე ძალიან რთულია, რა. აქ გამორიცხულია. **რ----—----------:** „გავიგე. იქამდე ღმერთმა ნუ ქნას ძამა ვინცხას... “. **გ----------:** „იქამდე მოხდება ათში ერთი, მაგრამ იმ ათში რომელი, რომელი... მერამდენე მოხდება ამას ვერ განსაზღვრავ, შენ

ახლა ორი დეკლარაცია ხომ გაქ? "; **რ----—----------:** „ჰმ". **გ----------:** „შეიძლება მესამე მოხდეს, შეიძლება მეხუთე, შეიძლება აქამდე არ მოხდეს". **რ----—----------:** „კაროჩე მაი ნაღდია". **გ----------:** „მე დროს გეტყვი, რო იმ დროს შემოხვალ, შეიძლება წინასწარი გავაკეთებიო კიდევ. იმ წინასწარიდან პირველი რისკი არის ჩემი საქმე. რომც რაღაცა მოხდეს გამოუშვებენ ჩემთან, ჩემთან რომ შემოვა, გადავფარავ, მარა იმ შემთხვევაში თუ მოხდა". **რ----—----------:** „მაი საბაჟოზე შობა ხომ"?. **გ----------:** „ს-----ში".**რ----—----------:** „იქიდან უშვებენ სკანერზე ან გეზზე და, ხომ?". **გ----------:** „ხო"; **რ----—----------:** „მაი საბაჟო შობა?". **გ----------:** „არა, 50% კერძო პირის ინიციატივით ხდება, ანუ იქ რიცხვებზე უყურებენ რა ვინც რა დროს გადმოვიდა, რა შემოაქვს, და შეიძლება კერძო პირმა გააკეთოს, მაგრამ მაქსიმალურად ვაკეთებ მაგასაც, რომ კერძო პირის ინიციატივა არ იყოს იქ. ეს რომ დგება, მაგალითად იმპორტიორი რომ ... მერე აქ გადამოწმებები ხდება სხვადასხვა პუნქტების, ჩემთან მოდის ქსივა, გეზში მიდის ქსივა". **რ----—----------:** „გადაამოწმოს". **გ----------:** „რომ ინფორმაცია ამოვიდეს, ვინ არის და რას წარმოადგენს და მაგალითად ხომ შემოტანილი ტვირთი ჩემთან დასკანერებული ხარ ჩემთან რამე დარღვევა აქვს თუ არა, იმასთან რამე დარღვევა აქვს თუ არა, იმასთან რამე და ამის მიხედვით თუ ვინმემ დააფიქსირა რომ ჩემთან ჩამოიტანენ და საეჭვო იყო ამ შემთხვევაში ეს პირდაპირ აკეთებს იმას, რომ ერთი ვნახო რა ხდება შიგნით". **რ----—----------:** „ჰმ და მაქ ხარ შენ უკვე და". **გ----------: „ხო აქ უკვე ჩემთან რომ შემოვა ინფორმაცია მე მაქსიმალურად რომ ნორმალურია ყველაფერი, მიუხედავად იმისა რომ არ ყოფილხარ, რა. ... გაკეთებულია, ვაბშე გვერდზე წავა". რ----—----------:** „კაი". **გ----------:** „და მაგი ეჭვები.. ... რომ წავიდეს მერე ... გვინდა რომ მწვანე ავანთო და რომ კომპიუტერი მაქ გააწითლებს, წამოვა ჩემთან დასასკანერებლად. ***განცხადება რომ არ კეთდება მაგის, იმის შემდეგ თუ კერძო პირის დათვალიერებას ექვემდებარება მაგ საქმეში თავს ველარ შევყობ. ფაქტიურად, ფიზიკურად, ლოგიკურად შეუძლებელია, რომ შევყო. მაქ ინტერესი მე საერთოდ არ მქონდა, მარა ეს რა ხდება იცი?".*** **რ----—----------:** „საქმე საქმეა, მეგობრობა მეგობრობაა, ახლა აქ ჩვენ საქმეში და ჩვენ ურთიერთობაში მე სხვას არ ვრევ და არ ჩავრევ". **გ----------:** „არა, ბაზარი არაა, მესმის მეც არ მინდა მაგი. იმიტო რომ...". **რ----—----------:** „მე მაქ ჩემი პრინციპები, ჩემი მიმართულება ძმაო". **გ----------:** „ეს, ვხვდები, რომ შენც არ გინდა თაღლითი კაცი არც ერთ საქმეში არ გინდა, მარა ეს სხვისი ფული გაქ მომწყრეული, ამ სხვაზე მისაცემი გაქ, კაროჩე". **რ----—----------:** „ბივაეტ". **გ----------:** „და ახლა მაგასთან". **რ----—----------:** „მაგისთვის მინდოდა დღეს მე შენი ნახვა ძმაო და ამის იგი, რა ქვია, რაქვია ცოტა იმას ვიზამ, შენ შენი საქმე გააკეთე და ამ..". **გ----------:** „ეს სად ცლიან". **რ----—----------:** „ამ 4-5 დღეში იმას ვქნათ რაქვია? მეორე საქმეს გოუშვებთ ხოდში. რას ამბობდი? რას მეკითხებოდი?". **გ----------:** „სად ცლი?". **რ----—----------:** „ერთ-ერთი .... არის ოპტავშიკი ეგრეთწოდებული რომ უძახიან და". **გ----------:** „ტვირთი სადაც გაქვთ საწყობი". **რ----—----------:** „პ-—---

--ს ტერიტორიაზე და არც მე მაინტერესებს საცხა იქნება ვიცი და დანარჩენი მან იმას შვება, უშვებს. მიაქ“. **გ----------:** „შენი სახელით შემოდის? შენი ფირმის სახელით?“. **რ----—----------:** „კი“. **გ----------:** „შენ ანბაჟებ ხომ?“. **რ----—----------:** „მე შემომაქ დავუშვათ ბ-----ი და ის რკინა, შეკვეთა მაქ და მოდის“. **გ----------:** „მოდის“.**რ----—----------:** „მოდის, იმას არ ვეხები მე არანაირად, იტოგში, მარა ფირმის სახელზეა“. **გ----------:** „ანუ შენ შენი სახელით არ გაქ რამე“. **რ----—----------:** „ვყიდი და რეალიზაცია, ი ჩამეტანი წეიღე გაყიდე, ი ჩამეიტაი ი წეიღე გაყიდე ვსო“. **გ----------:** „შენ საკუთრებაში არ აკეთებ პირდაპირ ასხვისებ“. **რ----—----------:** „პირდაპირ, პირდაპირ, არც ვასაწყობებ არც არაფერს არ ვაკეთებ პირდაპირ ვუშვებ“. **გ----------:** „კი მარა შენ სახელზე რომ შემოდის დეკლარაცია ამას ..., ზედნადებს როგორ უკეთებ?“. **რ----—----------:** „არიან ბუღალტრები არიან და წერს და იციან რაფერ დააბალანსონ მაი საქმე“. **გ----------:** „მოგებას უჩვენებს და ...“. **რ----—----------:** „რაღაცის არი და ბუღალტრულად მოგებაცაა იქანე, დღგ-ც არის, მოგების გადასახადიც არის, ბევრ ნაირია, ხარჯებიც ხომ მაქ რაღაცა იგერ ჩემი საწვავი რაღაცა, შოფერი იგი აგი ყველაფერს წერს მან აკეთებს ... რომ ბუღელტერია მიდის სწორად ფირმის და დანარჩენი შესაბამისად ჩემი მოგება ჩემია, დარჩენილი ფული ჩემია, იმათ მათი ფული აქვთ. პროსტო ვაკეთებ ჩემ საქმეს. მე მაქ სამშენებლო ხომ მაქ მითითებული მე და იქ საბუთებს რაფერ დავალაგებ მაი ჩემი საქმეა რა. იქ ჩემ ფირმაში გავწერ ხარჯებს რაღაცას მოგებას და მე ვლებულობ ჩემს თავზე ყველაფერს. შენი საქმეები რაფერაა?“. **გ----------:** ... რომელი? ... მაგიტომ მინდა ეს გასიებული როჟა რა“. **რ----—----------:** „ერთი ამიხსენი... ე---- რომ დაგვტოვო ხომ წინააღმდეგი არ იქნები? გევიქცევი“. **გ----------:** „კი ბატონო. დავლიო და მეც უნდა გევიდე“; „როისთვის იმას შობი დაახლოებით რომ, მეც შვებულებას ვაპირებს“. **რ----—----------:** „მე გეტყვი ორი დღით, ორ დღეში იმას ვიზამ რაქვია დაახლოებით წინასწარ გაგაფრთხილებ რა. მარა მანქანა შენს სმენაში ხო უნდა შემევიდეს?“. (გ---------- თავს უქნევს თანხმობის ნიშნად); **რ----—----------:** „ვსიო ხომ ეს გადაწყვეტილი გვაქ ეს შენ, ანუ წინასწარ თადარიგი დავიჭირო ე. ი. ან რაღაცა ორი დღით ადრე“; **გ----------:** „კი ბატონო“...

2.13. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2019 წლის 9-------—-- ვიდეო-აუდიო ჩანაწერის თანახმად, ტვრითის შემოტანაზე საუბარს იწყებს გ----------. ბრალდებული რ----------ისგან იღებს ფულად თანხას - 2000 ლარს, სავარაუდოდ უკვე განხორციელებული „დახმარების“ სანაცვლოდ. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარე არ ედავება გ----------ს 2000 ლარის ქრთამის სახით აღებას, შესაბამისად, სასამართლო აღნიშნული თანხის მიზნობრიობაზე ყურადღებას არ შეაჩერებს. ამავე ვიდეო-აუდიო ჩანაწერის თანახმად, რ---------- გ----------ს თანხის გადაცემასთან ერთად ჰპირდება, რომ დანარჩენ თანხასაც წინასწარ მისცემს რამდენიმე დღეში. რ---------- ეკითხება გ----------ს მის სმენაში შევიდეს ავტომანქანა, თუ არა. გ----------

პასუხობს, რომ წინასწარ ეტყვის ყველაფერს, როგორ სჯობია, წინასწარი დეკლარირებით გააკეთონ, თუ არა. უხსნის საბაჟოზე ტვირთის შემოტანის პროცედურას და განუმარტავს ყველა შესაძლო რისკის თაობაზე. გ----------ს განმარტებით, თუ კომპიუტერმა „გააწითლა“, აუცილებლად ტვირთი გაიხსნება. თუ სკანერზე შემოწმება გადაწყდა, 80 პროცენტით მასთან მოხვდება ტვირთი. ამ შემთხვევაში წონა იქნება თუ დასკანერება თვითონ მიაქცევს ყურადღებას, იმგვარად დაამუშავებს სურათს, რომ ვერავინ გაიგოს რეალური მდგომარეობა. თუ ტვირთი გახსნას დაექვემდებარება, ამას არაფერი ეშველება. ასეთ შემთხვევაში სჯობია, რომ 5 პროცენტს არ აღემატებოდეს არადეკლარირებული საქონელი, რადგან მინიმალური ჯარიმა დაეკისრება, ხოლო თუ 5 პროცენტზე მეტი იქნება არადეკლარირებული ტვირთი, დაჯარიმდება დიდი თანხით. გ---------- დამატებით უხსნის, რომ თუ „წითელში“ მოხვდა ტვირთი, გაიხსნება ისეთ ადგილზე, სადაც კამერებია, ამიტომ ვერავის დაავალებს და ჩარევს ამ საქმეში. **გ---------- რ----—---------- მიმართავს, რომ მხოლოდ იმაში ახდევინებს ფულს, რაც მის უფლებამოსილებაში შედის - „ამიტომ, რაც ჩემს თავზეა მარტო იმის ფულს გახდიებ“.** ამდენად, ვიდეო-აუდიო ჩანაწერით ცალსახად დგინდება, რომ რ----------მ თანხა უნდა გადასცეს გ----------ს საბაჟოზე არადეკლარირებული ტვირთის შემოტანაში დახმარების სანაცვლოდ. გ---------- მას უნდა დაეხმაროს თანამდებობიდან გამომდინარე, უფლებამოსილების ფარგლებში, ტვირთის დასკანერების პროცედურებში მანიპულაციის გზით, რაც მის სამსახურობრივ მოვალეობას წარმოადგენს. არც პირდაპირ და არც ირიბად, საუბრის შინაარსიდან არ გამომდინარეობს, რომ რ---------- გ----------ს მიმართ შესასრულებელი აქვს რაიმე ვალდებულება (აქვს ვალი) ან „დ------ს“ ნაცვლად მან უნდა დაუბრუნოს ვალი გ----------ს.

2.14. 2019 წლის 12 აპრილის ვიდეო-აუდიო ჩანაწერის თანახმად, რ----—---------- და გ---------- კაფესთან (ქ. ბ------ში ა----—------—-- და ტ------ ქუჩების კვეთაზე მდებარე კაფე-ბარ „ს-----—-“)_ხვდებიან ერთმანეთს და იწყებენ საუბარს:

რ----—----------: „...მე შენთან საქმეზე ვარ მოსული“; **გ----------:** „ხო?“; **რ----—----------:** „როის ხარ შენ იქა?“; **გ----------:** „მე სამშაბათს ვარ სმენაში“. **რ----—----------:** „სამშაბათს სავარაუდოდ მოვასწრებთ, ძმა“; **გ----------:** „ვერა“. **რ----—----------:** „რაზე? ჰო და, მაგიზა მინდა რაღაცეები დავილაპარაკოთ. ლაპარაკი...“. **გ----------:** „კი ბატონო. საბუთები შენ გაქვს?“; **რ----—----------:** „შენ ხარ როდის? შაბათს, ხომ? სამშაბათს“. **გ----------:** სამშაბათს. **რ----—----------:** „სამშაბათამდე კაია, მაგარია, კაია. გევერკვევით რა ვქნათ“. **გ----------:** „სამშაბათს ვიქნები ერთი და“. **რ----—----------:** „ვაბშე მაგარია. კაია. მაგიზა ვარ მოსული“. **გ----------:** „დოკუმენტები მაჩვენე მე, რა, რეალური“. **რ----—----------:** „ის ისევ ისე არის. ხუთ პროცენტში, რაფერც ვილაპარაკეთ, ვჯდები. მაგრამ იქ წონაც, ყველაფერს ხომ ვაჯენთ, მარა რაფერ დევინახო, რაფერ გავაკეთო მაგი მინდა გევიარო, ჩვეულებრივად რაფერც ადრე

ვისაუბრეთ ისე გავაკეთო?“. **გ--- გ------:** „კი. კი, მაგრამ წინასწარ. ერთი ძველი არი და ერთი ახლაა, ხო?“; **რ----—----------:** „ხო“, **გ----------:** „ტვირთი რამდენია?“; **რ----—----------:** „ისევ ისე 5-6 ტონა“. გ----------: „ჩაჯდება შიგნით? საბუთებში ჩანს თუ არა? თუ 5%-ზე მეტი იქნება?“. **რ----—----------:** „ჰოდა, ვჯდები მაგ 5%-ში“. **გ----------:** „რა ვიცი. გეტყვი რა არის რეალური. რამდენს ...“. **რ----—----------:** „... მევიხოდები და ვნახავ, რა, ... ძველიც მქონდა, წავშალე გამოგზავნილი“. **გ----------:** „მომისმინე, რაშია საქმე“. **რ----—----------:** „აუ, რა ...“. **გ----------:** „რაშია საქმე, იცი? .... რომ არის ნასყიდობის ...“.

რ----—----------: „ე.ი. შენ ხარ სამშაბათს სმენაში, ძალიან კარგი. ჩვეულებრივად წვრილი იმით მე შენ დღეს წამევიღებ, რაც წინაზე ვისაუბრეთ გახსოვს, რომ შევთანხმდით 3000 ლარი მაქ წამოღებული და შემიძლია რომ გადმოგცე და მოგცე. აგერაა ძმა“. **გ----------:** „როდის ჩამოგაქ(?)? ორშაბათს ...“. **რ----—----------:** „ჰო“. **გ----------:** „... ჩამოვალ “. **რ----—----------:** „წაგიყვან, სად მიდიხარ?... ყველაფერი არის ისე როგორც ადრე. იქ რამე არ იცვლება, ჩვეულებრივად მოდის ტავარი, შემოდის, ლამაზად და დანარჩენი შენზეა. (საუბრობს ტელეფონზე: აგერ ა----------ზე ვარ. რა იყო? სავარაუდოდ კი. ალბათ 15 წუთში. რა გინდოდა? კაი, მოვალ. მალე მოვალ. მითხარი რა გინდა, თუა სასწრაფო?...) ითვლის ფულს: ერთი, ორი, სამი, ოთხი... აგერ გ---- გამომართვი ფული. **(აწვდის თანხას). გ----------მ გამოართვა რ---—---------- თანხა. რ----—----------:** „მე იქანე აღარ დევიწყებ ვინმეს არც მოკითხვას არც მიკითხვას. შენ უნდა გააკეთო მაი საქმე. მე სხვა არ მაინტერესებს!“. **გ----------:** „მომისმინე!“.**რ----—----------:** „მითხარი დანარჩენი რა არის შენთან საჭირო? მე რა გავაკეთო? წინასწარ გავაკეთო? თუ რაფერ გავაკეთო?“. **გ----------:** „არის თუ არა ასეთი წინასწარ... წინასწარი დეკლარაციაა საჭირო. მაშინ რა დროებში გააკეთე, ხომ არ გახსოვს?“. **რ----—----------:** „მე მგონია, რაცხა იანვარი... თებერვალი იყო“. **გ----------:** „არა, დრო, დრო საათით“. **რ----—----------:** „საათი გვიანია, ააა ი, დეკლარაცია?“. **გ----------:** „ხო“. **რ----—----------:** „დეკლარაცია გავაკეთე, მე გეტყვი დღის სადღაც 2-3 საათი ეყო ბანკში გადევიხადე და ფული გადავრიცხე. უშუალოდ დეკლარაცია ბუღალტერმა გააკეთა და მე არ მახსოვს ის თანხა რომ იყო ბაჟის თუ რაცხა. ხომაა 300 ლარი წინასწარ, ის შევიტანე დღის საათებში. იქ ბუღალტერმა როდის ატვირთა და როდის რა გააკეთაა მაი აღარ მახსოვს ნაღდათ“. **გ----------:** „მერე ვნახავ კიდე ვინმე თუ ... იმ დროს, ან ცოტა მოგვიანებით“. **რ----—----------:** „ხო“. **გ----------:** „დეკლარაცია ატვირთე“. **რ----—----------:** „გვიან?“. **გ----------:** „ჰო, ნუ ორშაბთს შემხვდე, ორშაბთს“. **რ----—----------:** „კაი. ვსიო, მოვილაპარაკეთ. წავალ დეიდაშვილი გ--------დან ჩამოდის ორ საათზე და უნდა შევხდეთ. ჩამეიყვანონ უნდა ქ--------დან და შევხდე უნდა რა, დანარჩენი არც შენ წაგართმევ დროს და არც ვინმეს, რაცხა საქმე გექნება და ორშაბათს შევხდეთ. **გ----------:** „ჰო ... ფასები, მაშინდელი და ისინი რასაც გაასაღებ, თანხებში ყველაფერი დეტალურად ინფორმაციები ამოიღე. **რ----—----------:** „ვსიო გავედით...“. ემშვიდობებიან

ერთმანეთს და გადიან კაფედან.

2.15. 2019 წლის 12 აპრილის ვიდეო-აუდიო ჩანაწერის თანახმად, რ----------
გ----------ს არადეკლარირებული სქონლის შემოტანაში დახმარების სანაცვლოდ გადასცემს 3000 ლარს. საუბრისას გ---------- და რ---------- აზუსტებენ ბრალდებულის მორიგეობის დღეს და ტვირთის შემოტანასთან დაკავშირებულ დეტალებს, მათ შორის წინასწარი დეკლარაციის შევსების საკითხს. არც პირდაპირ და არც ირიბად, საუბრის შინაარსიდან არ გამომდინარეობს, რომ რ---
---------- გ----------ს მიმართ შესასრულებელი აქვს რაიმე ვალდებულება (აქვს ვალი) ან „დ------ს“ ნაცვლად მან უნდა დაუბრუნოს ვალი გ----------ს.

2.16. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2019 წლის 2---------ს, 9 და 12 აპრილის ვიდეო-აუდიო ჩანაწერებით ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ გ---------- რ----------
-- 3000 ლარს ართმევს არადეკლარირებული საქონლის საქართველოში შემოტანაში დახმარების სანაცვლოდ. გ---------- რ---------- მხოლოდ იმ საკითხებში აღუთქვამს დახმარებას (საბაჟო პროცედურების გავლისას), რაც მისი სამსახურეობრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს, ხოლო სხვა რისკებთან დაკავშირებით დამატებით აცნობებს რ---------- და ურჩევს, რომ არადეკლარირებული საქონელი არ აღემატებოდეს 5 პროცენტს, რათა ტვირთის შემოწმების შემთხვევაში ჯარიმა იყოს მინიმალური.

2.17. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2017 წლის 1-------- ამონაწერის თანახმად, შპს „ბ----------“ დირექტორად და 100 პროცენტიანი წილის მესაკუთრედ რეგისტრირებულია რ--
----------. კომპანიის იურიდიული მისამართია ბ------ი, ნ---------- ქუჩა #--.

2.18. შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 5----------ს №პ-----
ბრძანების თანახმად, არასატარიფო კონტროლის სამმართველოს მებაჟე ოფიცერი გ---------- გადაყვანილ იქნა ს---------- სამმართველოს მებაჟე ოფიცრის თანამდებობაზე.

2.19. შემოსავლების სამსახურის უფროსის 2018 წლის 1---------- #2----
ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა (დანართი #11). აღნიშნული ბრძანებითა და დანართით, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მებაჟე - ოფიცრის (ს----------
---------- სამმართველოს) დანიშნულებად განისაზღვრა სატრანსპორტო საშუალებით (მატარებლით) შემოსული ტვირთის შემოწმება და შესაბამისი რეაგირება. ფუნქცია/მოვალეობად კი დადგინდა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სკანირების მონიტორინგი; სკანირების შედეგად

მიღებული ინფორმაციის ერთიან ბაზაში ფორმირება, დამუშავება და ანალიზი; რენტგენის სკანერების მეშვეობით მიღებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისას, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მისი გაცემის უზრუნველყოფა; ტვირთის შესახებ აღრიცხვის მოწმობაში შესაბამისი აღნიშვნების წარმოება; ყოველდღიურად შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარმოება.

2.20. შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2-------- N2--- ბრძანებით, დამტკიცდა შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულება. აღნიშნული დებულების მე-14[1] მუხლის თანახმად, ს-–––––––––––––––––– სამმართველოს ფუნქციად განისაზღვრა: გ) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სკანირების მონიტორინგი, სკანირების შედეგად მიღებული ინფორმაციის ერთიანი ბაზის ფორმირება, დამუშავება და ანალიზი; ე[2]) კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენა-აღკვეთა, შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში მონაწილეობა; ვ[1]) საბაჟო კონტროლის ზონებში და სხვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში განთავსებული რენტ-გენო სკანერების ესპლუატაცია, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სკანირების განხორციელება.

2.21. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 12 აპრილის N2---------- წერილის თანახმად, საბაჟო დეპარტამენტის ს-–––––––––––––––––– სამმართველოს მებაჟე ოფიცერს გ----------ს სამსახურის შესრულების ადგილად განსაზღვრული აქვს ა-----ის სტაციონარული რენტგენოსკანერი. გრაფიკის მიხედვით ცვლაში მორიგეობა უწევდა 2019 წლის 1----------ს 10:00 საათიდან 1----------ს 10:00 საათამდე, იმავე სამმართველოს მებაჟე ოფიცერ გ---------------------------თან მორიგეობის გადაცვლის გამო, მას სამსახურებრივი მოვალეობა ა-----ის რენტგენო სკანერზე უნდა შეესრულებინა მიმდინარე წლის 1----------ს 10:00 საათიდან 1----------ს 10:00 საათამდე.

2.22. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ს-–––––––––––––––– სამმართველოს უფროს ზ-----ის ჩვენებაზე, რომელმაც მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ მის მოვალეობაში შედის საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში არსებული ვიდეო-კამერების მონიტორინგი, ჩანაწერის ამოღება, ავტომანქანების სკანირება, ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი. 2019 წლის დასაწყისში გ---------- მუშაობდა საბაჟო გამშვებ პუნქტთან ახლოს მდებარე სკანერთან. ბრალდებულის მოვალეობაში შედიოდა ავტომანქანის სკანირება, მიღებული სურათის იდენტიფიცირება და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მასზე რეაგირება (მაგ. დაჯარიმება). მოწმის განმარტებით,

სკანერი დიდი მოცულობის დანადგარია, რომლის მეშვეობითაც მებაჟე - ოფიცერი ახორციელებს ტვირთის სკანირებას. ტვირთის შემოწმების შემდეგ დგება დათვალიერების ოქმი. თუ ტვირთი ე.წ. „რისკების პროფილს“ განეკუთვნება, ხდება მისი სკანირება. ავტომობილი შესაბამისი ტვირთით პირველ რიგში გამშვებ პუნქტში ხვდება. რისკების დეპარტამენტი ავტომობილს უწერს აღრიცხვის მოწმობას და ანიჭებს შესაბამის ფერს (წითელი ფერის მინიჭების შემთხვევაში ხდება ავტომანქანის სკანირება). სკანერი განთავსებულია ა-----აში, საზღვრიდან დაახლოებით 12 კილომეტრში. ს---------- სამმართველოში 76 ადამიანი მუშაობს. ცვლაში ორი მებაჟე (სკანერის სპეციალისტი) მორიგეობს. ზოგადად ავტომანქანა სკანერზე ხვდება საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე, საჩივრის არსებობისას ან რისკების დეპარტამენტის მიერ ტვირთის „გაწითლების“ შემთხვევაში. ტვირთის სკანირების შემდეგ იბეჭდება სურათი, ე.წ. „ჩონჩხი“, რომლის მონაცემებიც ივსება მებაჟის მიერ მექანიკურად (ხელით). შესაბამის ფორმაში იწერება ავტომანქანის ნომერი, რის შემდეგაც აღნიშნულ დოკუმენტს მიებმება შესაბამისი ფოტო. სურვილის შემთხვევაში მებაჟეს შეუძლია სხვა სურათი ატვირთოს (მაგ. სკანერზე გაატაროს სატვირთო ავტომობილი, მაგრამ მიაბას ავტობუსის სკანერის ფოტო). სკანირება და მისი მონაცემების ასახვა პარალელურ რეჟიმში ხდება, თუმცა მებაჟეს სურათის შეცვლა თავისუფლად შეუძლია. სკანირების პროცედურა ონლაინში არ ჩანს. სურათი მებაჟეს ხელით შეჰყავს და მას შეუძლია სხვა ავტომანქანის მონაცემები შეიყვანოს.

2.23. ამდენად, მტკიცებულებებით უტყუარად დგინდება, რომ გ---------- იყო შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, ს------------------------------ სამმართველოს მებაჟე-ოფიცერი და წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. ბრალდებულს სამსახურის შესრულების ადგილად განსაზღვრული ჰქონდა ა-----ის სტაციონარული რენტგენოსკანერი. მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა სატრანსპორტო საშუალებით შემოსული ტვირთის შემოწმება, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების სკანირების მონიტორინგი, სკანირების შედეგად მიღებული ინფორმაციის ერთიან ბაზაში ფორმირება-დამუშავება, ტვირთის შესახებ აღრიცხვის მოწმობაში შესაბამისი აღნიშვნის წარმოება, ყოველდღიურად შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარმოება. აღსანიშნავია, რომ ფარული ვიდეო-აუდიო ჩანაწერების შინაარსიდან და მოწმე ზ----------ის ჩვენებიდან დგინდება, რომ ტვირთის დასკანერების დროს შესაძლოა განხორციელდეს გარკვეული მანიპულაციები (მათ შორის ინფორმაციის არასწორი დამუშავება, სხვა სურათის ატვირთვა პროგრამაში) და ამით ხელი შეეწყოს არადეკლარირებული საქონლის საქართველოში შემოტანას. ამდენად, გ----------ს თანამდებობრივი

უფლებამოსილება და ამ უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ბრალდებულისთვის არსებული ფაქტობრივი შესაძლებლობა (ინფორმაციის არასწორი დამუშავებით ან დაფარვით) განხორციელდეს არადეკლარირებული საქონლის საქართველოში შემოტანა, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს გ----------ს მიერ რ----–----------ისათვის მიცემული დაპირების რეალურობაზე.

2.24. მოწმე ვ-–----------–-------ემ სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას დაადასტურა მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების კანონთან შესაბამისობა/სისწორე. მოწმემ დამატებით განმარტა, რომ 2019 წლის მარტის თვის ბოლოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს განცხადებით მიმართა მოქალაქე რ----–----------მ. განცხადების თანახმად, მებაჟე ოფიცერი გ-- -------- კონკრეტული მოქმედების სანაცვლოდ სთხოვდა ფულადი თანხის გადაცემას. დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება და მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები: დათვალიერდა ვებ-გვერდები, განხორციელდა რ----–----------ისა და გ----------ს შეხვედრების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა. მას შემდეგ, რაც გ----------მ რ----–---------- გამოართვა 3 000 ლარი, ბრალდებული დაკავეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა. საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები ჩაატარა კანონმდებლობის სრული დაცვით და რაიმე შენიშვნა ან პრეტენზია დაფიქსირებული არ ყოფილა.

2.25. მოწმეებმა - გ----------მ და გ-------–-----მ სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას დაადასტურეს მათი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების კანონთან შესაბამისობა/სისწორე. გ----------მ დაადასტურა, რომ 2019 წლის აპრილის თვეში, ქ. ბ------ში, განმცხადებელთან შეხვედრის შემდეგ, ა------ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად დააკავა გ----------. დაკავებულს განუმარტეს უფლებები და გაჩხრიკეს, რა დროსაც პირად ნივთებთან ერთად ამოუღეს ქრთამის სახით აღებული ფულადი თანხა. სხვა საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია. მოწმე გ----------–------მ დაადასტურა, რომ პროკურორის დავალებით გ----------ს გააცნო დადგენილება ბრალდების შესახებ და გამოკითხა ბრალდებულის სახით, ადვოკატს გაუცვალა ინფორმაცია, ამოღებული თანხა დაათვალიერა და მოახდინა მისი იდენტიფიცირება. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, დაამზადა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი ჩანაწერების ასლები, დაცვის მხარისთვის გადასაცემად. ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება განახორციელა კანონმდებლობის სრული დაცვით.

2.26. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი

ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ,,გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან”. მოცემულ შემთხვევაში, საქმის არსებით სხდომაზე, ბრალდებულ გ----------ს მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ა----------–------–ი სააგენტოს ა----------–---- რეგიონალური მთავარი სამმართველოს ინსპექტორების - თ----------სა და გ-–----------–---ის გამოკითხვის ოქმები მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რის გამოც ისინი მიღებული იქნა მტკიცებულებად გამოკვლევის გარეშე.

2.27. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ა----------–------–ი სააგენტოს ა----------–---------- რეგიონალური მთავარი სამმართველოს უფროსმა ინსპექტორმა თ----------მ გამოკითხვისას დაადასტურა, მისი მონაწილეობით ჩატარებული - ბრალდებულ გ----------ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის კანონთან შესაბამისობა. მოწმის განმარტებით, 2019 წლის 12 აპრილს, ქ. ბ------ში, ტ------ ქუჩა N5--ის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებულ იქნა გ---------. მას განემარტა უფლებები, რის შემდეგადაც გაიჩხრიკა. ჩხრეკისას პირად ნივთებთან ერთად ამოღებულ იქნა ფულადი თანხა 3000 ლარის ოდენობით. ამოღებული ნივთები დაილუქა კანონის შესაბამისად. საგამოძიებო მოქმედების ოქმი შეივსო ადგილზე და დადასტურდა ხელმოწერებით. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ა----------–------–ი სააგენტოს ა----------–---- რეგიონალური მთავარი სამმართველოს ინსპექტორმა გ-–----------–---ემ გამოკითხვისას.

2.28. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწმეები - ვ-–----------–---------ე, გ---------–------- და გ------------------------ არიან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, ხოლო თ---------- და გ-–----------–---ე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ა----------–------–ი სააგენტოს ა----------–---------- რეგიონალური მთავარი სამმართველოს ინსპექტორები. აღნიშნულმა მოწმეებმა სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას დაადასტურეს იმ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების მართებულობა, რომელებიც მათ მიერ იქნა ჩატარებული ან რომელშიც მიიღეს მონაწილეობა (მათ შორის ბრალდებულის პირადი ჩხრეკა, რა დროსაც გ----------საგან ამოღებული იქნა ფულად თანხა 3 000 ლარი), რაც სრულად შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, საპროცესო ნორმების არსებითად დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა და მათი სანდოობა საეჭვო არ არის. აღნიშნული მოწმეები არ არიან გ----------ს მიერ თანხის მოთხოვნის, გადაცემული თანხის მიზნობრიობისა და დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების უშუალო შემსწრეები. მათ მიერ მიცემული ჩვენებები პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული გარემოებების (ქრთამის აღების ფაქტების) მიმართ წარმოადგენენ ირიბ ჩვენებებს (ჩვენებებს, რომლებიც

ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას).

2.29. საქართველოს სსსკ-ის 76-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ირიბია მოწმის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/5-8 გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებისა და იმავე კოდექსის 169-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების - ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ზ---------- საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2015 წლის 22 იანვარი, სარეზოლუციო ნაწილი, პუნქტი 2.)

2.30. აღნიშნულ საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ირიბი ჩვენება, ზოგადად, ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და, ამდენად, შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში ***და არა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით.*** შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შესაძლებელს ხდის ირიბი ჩვენებების საფუძველზე მიღებულ იქნეს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ პასუხობს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მტკიცებულებათა უტყუარობის მოთხოვნებს და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურია (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ზ---------- საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2015 წლის 22 იანვარი, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 52, 53.)

2.31. ამდენად, სასამართლო მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას მოწმეების - ვ----------ის, გ----------ს, გ----------ს, თ----------სა და გ----------ის ირიბი ჩვენებების საფუძველზე უტყუარად დაადგინოს გ----------ს მიმართ ბრალად წარდგენილი დანაშაულის შემადგენლობისათვის საჭირო

ფაქტობრივი გარემოებები.

2.32. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ასევე დაცვის მხარის მტკიცებულებებზე, კერძოდ:

2.33. მოწმე მ--------–---მ (ბრალდებულის მეუღლემ) სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ ქ. ბ------ში, გ----------–------- ნომერში ფუნქციონირებდა მისი ოჯახის კუთვნილი სწრაფი კვების ობიექტი, სადაც მისთვის უცნობ მამაკაცთან ერთად ხშირად დადიოდა დ----------. მოწმემ დაადასტურა, რომ დ----------მ ავტომანქანის იაფად ჩამოყვანა შესთავაზა მის მეუღლეს. გ---------- დათანხმდა და დ----------ს ხელზე გადასცა ფულადი თანხა 2500 აშშ დოლარამდე. საბოლოოდ გ----------მ ავტომანქანა ვერ მიიღო და არც თანხა დაუბრუნებიათ მისთვის. მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ დ----------ს ავტომანქანის ჩამოყვანაში დახმარება სთხოვა მისმა ძმამაც. დ----------–---მ გადაიხადა 1000 აშშ დოლარი, თუმცა ავტომანქანა არც მას ჩამოუყვანეს. მისთვის ცნობილია, რომ დ----------მ ავტომანქანების ჩამოყვანა რ----–---------- გადააბარა. ავტომანქანების ჩამოყვანის თაობაზე მოლაპარაკებებს არ დასწრებია. ადასტურებს, რომ მის ძმას 800 დოლარი დაუბრუნეს.

2.34. მოწმე დ----------–---მ სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ გ----------ს (სიძის) რჩევით, ავტომანქანის იაფად შეძენის მიზნით დ----------ს ჩაურიცხა 1000 აშშ დოლარი. სიძე დაჰპირდა, რომ მისი მეგობრები, შეღავათიან ფასში ჩამოუყვანდნენ „ტ----------“ მარკის ავტომანქანას. დათქმულ ვადაში ავტომანქანა ვერ მიიღო, რის გამოც თანხის უკან დაბრუნება მოითხოვა. საბოლოოდ ჩარიცხული თანხიდან 800 აშშ დოლარი დაუბრუნდა. მისთვის ცნობილია, რომ კომპანია, რომელსაც ავტომანქანა უნდა ჩამოეყვანა, მხოლოდ დ----------ს არ ეკუთვნოდა. გ----------სგან შეიტყო, რომ დ----------ს მეწილე ჰყავდა. პირადად დ----------ს არ დაკავშირებია და მისი ბიზნეს პარტნიორი რ----–---------- რომ იყო, შეიტყო თავისი დისგან (გ----------ს მეუღლისგან).

2.35. მოწმე რ----------ემ სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ გ---------- მისი ბავშვობის მეგობარია. 2019 წლის 27 ან 28 მარტს, ბ------ში შეხვდა ბრალდებულს, რომელმაც უთხრა, რომ წინა წლის ზაფხულში, გაიცნო დ---------- (პასპორტით ე----–----------). აღნიშნული პიროვნება დაუახლოვდა გ----------ს და შესთავაზა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ავტომანქანის შეღავათიან ფასებში ჩამოყვანა. ბრალდებული დათანხმდა და გადასცა დ----------ს როგორც თავისი, ასევე ცოლის ძმის ავტომანქანის თანხა. გ----------მ დათქმულ დროს ავტომანქანები ვერ მიიღო და არც თანხა დაუბრუნებია მისთვის დ----------ს. ბრალდებულმა აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში დახმარება სთხოვა. ბრალდებულს ურჩია, რომ დ-------

------სთან ნორმალური ურთიერთობა შეენარჩუნებინა და თანხა ეტაპობრივად ამოელო. ასევე დაჰპირდა, რომ სამეგობროში გაიკითხავდა. დ----------სთან რამდენიმე საერთო ნაცნობი აღმოაჩნია, თუმცა არცერთმა მათგანმა მონაწილეობა არ მიიღო აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში. 2019 წლის 10 ან 12 აპრილს გაიგო, რომ გ--------- ქრთამის ბრალდებით დააკავეს. დარწმუნებულია, რომ ბრალდებული უდანაშაულოა. სჯერა, რომ თანხის გადაცემა მოხდა დ----------ს მიერ, რომელიც იყო ვალი და გ----------ს პროვოკაცია მოუწყვეს. დ---------- კარგი რეპუტაციით არ სარგებლობს. მასთან ერთად ნ-------ს გვარმაც გაიჟღერა, მაგრამ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. რაიმდენიმე ადამიანისგან შეიტყო, რომ დ---------- და რ-----–---------- ახლო მეგობრები იყვნენ.

2.36. მოწმე გ-----–---–------მ სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ გ---------- მისი მეგობარია. მოწმემ დაადასტურა, რომ 2019 წლის მარტის თვეში, ბ------ში, ბ----–------- მიმდებარე ტერიტორიაზე დაესწრო დ----------სა და გ----------ს შეხვედრას. საუბარი შეეხებოდა ავტომანქანებს. გაირკვა, რომ გ----------მ დ----------ს გადასცა თანხა, სანაცვლოდაც კი დ---------- ორი „ტ----------“ მარკის ავტომანქანა უნდა ჩამოეყვანა. დ----------მ კონტეინერის კოდი გაუგზავნა გ----------ს, რომელშიც გადამოწმების შემდეგ არ აღმოჩნდა „ტ----------“ მარკის ავტომობილები. დ---------- მისთვის უცნობ პიროვნებას ესაუბრა ტელეფონით, რის შემდეგაც განაცხადა, რომ გაუგებრობა მოხდა, თვითონ რამდენიმე დღით თ--------ში მიდიოდა და ავტომანქანების საკითხს მისი მეგობარი რ-----–---------- მიხედავდა. დ----------მ პირობა დადო, რომ ავტომანქანები უახლოეს მომავალში ჩამოვიდოდა საქართველოში. გ---------- რ-----–---------- შეხვდა თუ არა მისთვის უცნობია. პირადად რ-----–---------- არასდროს უნახავს.

2.37. **ბრალდებულმა გ----------მ სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას დაადასტურა, რომ იგი** რამდენჯერმე შეხვდა რ-----–----------, რომელსაც ესაუბრა საბაჟო პროცედურებზე, გამოართვა თანხა მთლიანობაში 5000 ლარის ოდენობით, თუმცა არა იმ მიზნით, რასაც ბრალდების მხარე ედავება. მას ქრთამი არ აუღია. ბრალდებულმა განმარტა, რომ დ---------- ბ------ში გაიცნო და მასთან მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. დ----------მ, რომელსაც ავტომანქანები ჩამოჰყავდა ამერიკიდან, შეღავათიან ფასში ორი „ტ----------“ მარკის ავტომანქანის ჩამოყვანა შესთავაზა (ერთი თავისთვის, ხოლო მეორე ცოლის ძმისთვის). დათანხმდა შემოთავაზებას და სრულად გადაუხადა მოთხოვნილი თანხა, რომელიც დაახლოებით 2600 აშშ დოლარს შეადგენდა. დ----------მ პირობა არ შეასრულა, დათქმულ დროს ავტომანქანები არ ჩამოიყვანა და არც გადახდილი თანხა დაუბრუნა. გამუდმებით ატყუებდა, ემალებოდა და მობილური ტელეფონის ნომრებს ცვლიდა. ვინაიდან დ----------სთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა, ამ უკანასკნელის ბიზნეს

პარტნიორს და მეგობარს, რ----–---------- სთხოვა დახმარება. გ----------მ ასვე დაადასტურა დ----------სთან და რ----–-- ნ----------თან, მათივე ინიციატივით შეხვედრის ფაქტი და აღნიშნა, რომ საუბარი ძირითადად ავტომანქანებს შეეხებოდა. დ---------- არწმუნებდა, რომ ამერიკაში შეიქმნა პრობლემა, რომელიც სწრაფად მოგვარდებოდა და ავტომანქანები აუცილებოლად ჩამოვიდოდა საქართველოში. აღნიშნულის შემდეგ რ----–----------მ და დ----------
--მ საუბარი დაუწყეს საქონელზე, რომლის საქართველოში შემოტანაც სურდათ. სთხოვეს მას კონსულტაცია გაეწია აღნიშნულთან დაკავშირებით, რაზეც უარი არ უთქვამს. კანონის ფარგლებში, დაწვრილებით აუხსნა მათ ყველაფერი. რ----
–----------ისა და დ----------სთვის წარსულშიც არაერთხელ გაუწევია კონსულტაცია. დ----------მ უთხრა, რომ საქონელი რ----–----------ის კომპანიის სახელით უნდა შემოსულიყო. დაარწმუნა, რომ რ----–---------- მისი მეწილე იყო და ერთ საქმეს აკეთებდნენ. დ----------მ ასევე განუცხადა, რომ თ--------ში მიდიოდა რამდენიმე დღით და ავტომანქანებთან დაკავშირებით რ----–----------
თან გაეგრძელებინა ურთიერთობა. ვინაიდან დ----------სგან ავტომანქანების თანხის ამოღება ვერ მოახერხა, თანის დაბრუნება რ----–----------ისგან გადაწყვიტა. სწორედ ამ მიზნით ხვდებოდა მას, ატყუებდა, რომ თითქოს არადეკლარირებული საქონლის შემოტანაში დახმარება შეეძლო. აწვდიდა არასწორ ინფორმაციას მის სამსახურობრივ შესაძლებლობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რ----–---------- კონსულტაციით კმაყოფილი იყო, თვლიდა, რომ მისი (გ----------ს) დახმარებით შემოჰქონდა ტვრითი დაუბრკოლებლად და მადლობას უხდიდა. გადაწყვიტა ამ მდგომარეობით ესარგებლა და ავტომანქანის ფული დაებრუნებინა. სწორედ ამ მიზნით მისწერა რ----–---------- შეტყობინება, რომ თითქოს „რეისებთან“ დაკავშირებით შეხვედრა უნდოდა. 2019 წლის მარტის თვეში შეხვდა რ----–----------. საუბარი თავდაპირველად დაუწყო „რეისებზე“, შემდეგ უთხრა, რომ მისი კომპანიის სახელით აპარატის შემოტანა სურდა. სინამდვილეში მსგავსი განზრახვა არ ჰქონია. ატყუებდა მას თითქოს საბაჟოზე დახმარება შეეძლო. რეალურად მას არ შეეძლო რაიმე მანიპულაცია განეხორციელებინა და არადეკლალირებული საქონლის შემოტანაში დახმარებოდა. ამ ყველაფრის მიზანი კი დ----------
სთვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება იყო. ბრალდებულმა დაადასტურა, რომ ფარულ აუდიო და ვიდეო ჩანაწერებში ნამდვილად არიან დაფიქსდირებული ის და რ----–----------. გ----------მ ასევე დაადასტურა ის გარემოება, რომ ორჯერ გამოართვა რ----–----------ს ფულადი თანხა 2000 და 3000 ლარის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერებში დაფიქსირებული არ არის, რ----–---------- ნამდვილად ავტომანქანის ფული გამოართვა. ვიდეო-აუდიო ჩანაწერებში რ----–---------- უდასტურებდა ნათქვამს, თითქოს მისი დახმარებით დაუბრკოლებლად შემოჰქონდა ტვირთი. იგი ასევე ადასტურებს ვიდეო-აუდიო ჩანაწერში დაფიქსირებული საუბრის სხვა დეტალებსაც.

2.38. სასამართლო აღნიშნავს, რომ დაცვის მხარის მოწმეები შესაძლოა ადასტურებენ, რომ დ----------ს ჰქონდა გ----------ს ვალი, თუმცა ის გარემოება, რომ აღნიშნული ვალის დაბრუნების ვალდებულება აიღო რ----–----------მ, წარმოადგენს მხოლოდ მათ ვარაუდს. ამგვარი ფაქტის თვითმხილველნი თვითონ არ არიან, ხოლო ამ ნაწილში ბრალდებულის განმარტება არსებითად ეწინააღმდეგება ფარული ვიდეო-აუდიო ჩაწერის შედეგად მოპოვებულ მასალებს. დაცვის მხარის მოწმეები რ----–----------ის მიერ გ----------სთვის თანხის გადაცემას არ შესწრებიან და არ მოუსმენიათ საუბარი, რომელიც შედგა მათ შორის თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოწმეთა განმარტებები წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ვიდეო-აუდიო ჩანაწერებით უტყუარად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით. საქმეზე წარმოდგენილი უტყუარი და მაღალი მტკიცებულებითი ძალის მქონე ვიდეო-აუდიო ჩანაწერებით ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ გ----------მ რ----–---------- თანხა გამოართვა არადეკლარირებული საქონლის საქართველოში შემოტანაში დახმარების სანაცვლოდ. ამავე მტკიცებულებით უტყუარად დგინდება, რომ თანხის გადაცემა არ უკავშირდება რ----–----------ის რაიმე სამოქალაქო ვალდებულებას გ----------ს მიმართ და ერთადერთი მიზანი თანხის გადაცემის არის გ----------ს მიერ დასკანერების შემთხვევაში ინფორმაციის არასწორად დამუშავებისა და დაფარვის შედეგად, არადეკლარირებული საქონლის საქართველოში შემოტანაში დახმარება. დაცვის მხარის მოწმეთა ზოგადი განმარტებები და ვარაუდები ვერ გააქარწყლებს ვიდეო - აუდიო ჩანაწერებით უტყუარად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ვერ დაედება საფუძვლად დაცვის მხარის ვერსიის გაზიარებას. რაც შეეხება რ----–----------ის მიერ გ----------სთვის გადაცემულ 2000 ლარს, მისი მიზნობრიობა სავარაუდოდ შესაძლოა უკავშირდებოდეს წარსულში განხორციელებულ გარკვეულ დახმარებას, თუმცა ვინაიდან ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, უტყუარად არ დგინდება თანხის გადაცემის მიზნობრიობა და არც ბრალდების მხარე ედავება გ----------ს აღნიშნულ საკითხს, შესაბამისად სასამართლო არ იმსჯელებს.

2.39. რაც შეეხება დაცვის მხარის ერთ-ერთ არგუმენტს დანაშაულის ჩადენაში სავარაუდო წაქეზების შესახებ, სასამართლო არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ საქმის მოცემულობა/რ----–----------ის ქმედებები სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ამ საკითხზე დადგენილი სტანდარტებს, რაც დაცვის მხარის პოზიციას დამაჯერებლობას უკარგავს, კერძოდ:

2.40. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ სახელისუფლებო ორგანოებს განსაკუთრებული საგამოძიებო მეთოდებისთვის მიმართვა უწევთ, რაც განსაკუთრებით საჭიროა

ორგანიზებულ დანაშაულსა და კორუფციასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიების პროცესში. ამასთან, დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ განსაკუთრებული საგამოძიებო მეთოდები, კერძოდ, ფარული ოპერაციების ჩატარების ტექნიკა თავისთავად არ არღვევს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას (იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Ramanauskas v. Lithuania, პარ. 51). ამასთან დაკავშირებით სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ პოლიცია უფლებამოსილია ჩაატაროს ფარული ოპერაციები, მაგრამ არა წააქეზოს დანაშაული (იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Khudobin V. Russia, პარ. 128). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე Miliniene v. Lithuania ასევე განმარტებულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ გავლენა იქონია მოვლენების მსვლელობაზე იმით, რომ კერძო პირს ტექნიკური აღჭურვილობა გადასცა საუბრების ჩასაწერად და ხელს უწყობდა მომჩივანისთვის ფინანსური შეთავაზების გაკეთებას პოლიციის ქმედებები კვალიფიცირებული იქნა, როგორც დანაშაულებრივ საქმიანობასთან ,,მიერთება“ და არა როგორც ამ საქმიანობის ინიცირება, რადგან მოცემულ შემთხვევაში ინიციატივა კერძო პირისგან მოდიოდა. ამ უკანასკნელმა იჩივლა პოლიციასთან, რომ მომჩივანი ქრთამს მოითხოვდა მისი საქმის მისთვის ხელსაყრელი შედეგით დასრულებისთვის. სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე არ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა (იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Miliniene v. Lithuania, პარ. 37-38, 41).

2.41. სასამართლომ მხილების მიზნით დანაშაულის წაქეზებასა და ლეგიტიმურ ფარულ ოპერაციებს შორის გამიჯვნის მიზნით, დანაშაულის წაქეზება განსაზღვრა, როგორც სიტუაცია, როდესაც სამართალდამცავი ორგანოების ან უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ან მათი ინსტრუქციებით მოქმედი სხვა პირები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის პასიური გამოძიებით, არამედ მტკიცებულებების მოძიებისა და წარმოების დაწყების მიზნით ისეთ ზემოქმედებას ახდენენ სუბიექტზე, რომ იგი ხელს უწყობს ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, რომელსაც იგი ასეთი წაქეზების გარეშე არ ჩაიდენდა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Ramanauskas v. Lithuania, პარ. 55).

2.42. ამდენად, სასამართლო მოცემულ შეთხვევაში დანაშაულის წაქეზების საკითხზე მსჯელობისას შეაფასებს გამოძიება იყო თუ არა ,,ძირითადად პასიური“ ხასიათის და საგამოძიებო ორგანოების მიერ ჩატარებული ფარული ღონისძიებები (ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა) და ამ ღონისძიებაში რ----------ის ქმედებები შეესაბამება თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული

სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ სტანდარტებს, კერძოდ:

2.43. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი მტკიცებულებებით და ვიდეო და აუდიო ჩანაწერებით უტყუარად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ გ----------ს მიერ რ----–---------- ისათვის უკანონო შეთავაზების შემდეგ, ამ უკანასკნელმა განცხადებით მიმართა საგამოძიებო ორგანოებს და გამოთქვა მათთან თანამშრომლობის სურვილი. საგამოძიებო ორგანოები რ----–----------ის მათთვის განცხადებით მიმართვის შემდეგ ჩაერთნენ გ----------ს მიერ უკვე დაწყებული დანაშაულის გამოვლენაში. ფარულმა საგამოძიებო მოქმედებებმა გაიარა სასამართლო კონტროლი, როგორც საწყის ეტაპზე, ასევე წინასასამართლო სხდომაზე. ფარული აუდიო და ვიდეო ჩანაწერებით ცალსახად დგინდება გ----------ს სურვილი მიეღო თანხა რ----–----------ისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული დახმარების სანაცვლოდ, ბრალდებულის აქტიურობა - მისი ინიციატივა დაკავშირებოდა რ----–----------, დაეგეგმა არადეკლარირებული საქონლის საქართველოში შემოტანის საკითხი, რათა ნაკლებად სარისკო გზით განხორციელებულიყო ტვირთის შემოტანა. საწინააღმდეგოდ რ----–---------- ჰქონდა არსებითად პასიური როლი. ვიდეო ჩანაწერებიდან არ იკვეთება, რომ გ---------- ყოყმანობს ჩაიდინოს თუ არა დანაშაული, პირიქით რ----–---------- აქტიურად უგეგმავს არადეკლარირებული საქონლის საქართველოში შემოტანის დეტალებს და ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე იღებს 3000 ლარს. შესაბამისად, მტკიცებულებებიდან არ იკვეთება ისეთი გარემოებები, რაც შეუთავსებელი იქნებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნულ სტანდარტებთან.

2.44. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების ერთობლივად შეფასების შედეგად რ----–----------ის ქმედებებში დანაშაულის წაქეზების (პროვოკაციის) ნიშნები არ იკვეთება და ასევე საგამოძიებო ორგანოს მოქმედებებიც შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ სტანდარტებთან, რის გამოც სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის მითითებას ამ საკითხზე.

3. სამართლებრივი შეფასება:

3.1. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია ქრთამის აღებისათვის. აღნიშნული დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოთა პრესტიჟი და მათი ნორმალური ფუნქციონირება. საჯარო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობაზე და პატიოსან

საქმიანობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე არსებული ამოცანების ეფექტურად გადაწყვეტა. აღნიშნულ დანაშაულს ჰყავს სპეციალური სუბიექტი, კერძოდ: მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. დანაშაულის ობიექტიური მხარე გამოიხატება ქრთამის აღებაში. სახელმწიფო მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი ქრთამს იღებს ან ითხოვს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისათვის. ამასთან, განხორციელებული მოქმედება შეიძლება რამდენიმე სახის იყოს: ა) იგი შედიოდეს მოხელის სამსახურებრივ უფლებამოსილებაში; ბ) არ შედიოდეს სახელმწიფო მოხელის უშუალო უფლებამოსილებაში, მაგრამ მისი თანამდებობრივი ავტორიტეტისა და გავლენის გამოყენებით შეეძლოს ხელი შეუწყოს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულებას ან შეუსრულებლობას; გ) სახელმწიფო მოხელემ სამსახურებრივი მფარველობა გაუწიოს ქრთამის მიმცემს. დანაშაული - ქრთამის აღება დამთავრებულია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის მიღების ან მოთხოვნის, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღების მომენტიდან. რაც შეეხება აღნიშნული დანაშაულის ჩადენას სამსახურებრივი ავტორიტეტის გამოყენებით, ამ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტი არის ის საჯარო მოხელე, რომელსაც მართალია არ აქვს სამსახურებრივი უფლებამოსილება განახორციელოს სათანადო მოქმედება ქრთამის მიმცემის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლია მიიღოს ზომები სხვა მოხელის მიერ კონკრეტული მოქმედების შესასრულებლად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქრთამის ამღებ მოხელესა და იმ მოხელეს შორის, ვისზეც დამოკიდებულია ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტა, ურთიერთობა ქრთამის ამღების სამსახურებრივი მდგომარეობით იყოს განპირობებული (მაგ: მაღალი პოსტი შესაბამის უწყებაში). პირადი ურთიერთობის გამოყენება (მაგ. მეგობრობა, ნათესაური დამოკიდებულება), რასაც მოხელის სამსახურებრივ მდგომარეობასთან (ავტორიტეტთან) არანაირი კავშირი არ აქვს ან მოხელეს არ შეუძლია შეასრულოს დაპირებული ქმედება (არ შედის მის სამსახურებრივ კომპეტენციაში და არც საკითხის გადაწყვეტაზე უფლებამოსილ პირებზე აქვს თანამდებობრივი გავლენა), გამორიცხავს ქრთამის აღების შემადგენლობას და ასეთი ქმედება მოტყუების კომპონენტის არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაკვალიფიცირდეს თაღლითობად.

3.2. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უტყუარად დადგენილად მიაჩნია, რომ გ----------მ საბაჟო საზღვარზე არადეკლარირებული საქონლის შემოტანაში დახმარების სანაცვლოდ რ---------- გამოართვა ფულადი თანხა - 3000 ლარის ოდენობით. ასევე უტყუარად დადგინდა, რომ ის საკითხები, რომლის მოგვარებასაც ჰპირდებოდა (არადეკლარირებული საქონლის შემატანის

მიზნით) ბრალდებული რ----------, უკავშირდებოდა გ----------ს სამსახურებრივ უფლებამოსილებას, კერძოდ: გ---------- ჰპირდებოდა რ----------, რომ ავტომანქანის საბაჟოში შესვლის დღეს იქნებოდა მორიგე, მაღალი ალბათობით ტვირთი მასთან მოხვდებოდა შესამოწმებლად (დასასკანერებლად), რა დროსაც უკანონო მოქმედების განხორციელების გზით (არ მოახდენდა სათანადოდ სკანირებას, სკანირების შედეგად მიღებული ინფორმაციის სათანადოდ დამუშავებას, ბაზაში ასახვას, დარღვევის გამოვლენას და დაჯარიმებას), დაფარავდა არადეკლარირებულ საქონელს და ამ ფორმით დაეხმარებოდა საქართველოში შემოტანაში. ფარული ვიდეო-აუდიო ჩანაწერებით უტყუარდ დადგინდა, რომ გ----------მ რ---------- განუმარტა ყველა შესაძლო სირთულის შესახებ (შესაძლებელი იყო ტვირთი გახსნილიყო და დათვალიერებულიყო, რასაც თავად ვერ აკონტროლებდა. ასევე ტვირთი სკანერზე მასთან შესაძლებელი იყო მოხვედრილიყო დაახლოებით 80% შემთხვევაში), რაც მოსალოდნელი იყო არადეკლარირებული საქონლის საქართველოში შემოტანის დროს და დახმარებას დაჰპირდა მხოლოდ იმ ნაწილში, რაც მის თანამდებობრივ უფლებამოსილებაში შედიოდა. გ----------ს რ----------ისათვის არ მიუწოდებია იმგვარი ცრუ ინფორმაცია, არ დაჰპირებია იმგვარი მოქმედებების განხორციელებას, რაც სცილდებოდა მისი, როგორც საბაჟოს თანამშრომლის უფლება-მოვალეობებს. მტკიცებულებებით უტყუარად დადგინდა, რომ ბრალდებულმა რ---------- 3000 ლარი გამოართვა არადეკლალირებული საქონლის საქართველოში შემოტანაში დახმარების სანაცვლოდ, რაც ტვირთის გ----------სთან სკანერზე მოხვედრის შემთხვევაში დარღვევების გამოვლენის დაფარვაში გამოიხატებოდა. არადეკლარირებული საქონლისა და დარღვევების გამოვლენა, სათანადო რეაგირება, სწორედ გ----------ს თანამდებობრივ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს მიაჩნია, რომ დაცვის მხარის მოთხოვნა გ----------ს ქმედების თაღლითობით დაკვალიფიცირების თაობაზე სამართლებრივად არამართებულია და სახეზეა დანაშაულის - ქრთამის აღების შემადგენლობისთვის აუცილებელი ყველა ნიშანი.

3.3. ამდენად, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ გ----------მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით **გათვალისწინებული დანაშაული -** ქრთამის აღება, ესე იგი მოხელის მიერ პირდაპირ ფულის მოთხოვნა და მიღება, რათა ამ მოხელემ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისგან, **რომლისთვისაც იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ.**

3.4. რაც შეეხება გ----------ს მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, აღნიშნული ვერ დადასტურდა მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად. ბრალდებული არ წარმოადგენდა მაღალი რანგის მოხელეს და სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე არ ჰქონია იმგვარი თანამდებობრივი ავტორიტეტი, რომლის მეშვეობითაც შეძლებდა ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ სხვა მოხელეებზე არმართლზომიერი ზეგავლენის მოხდენას. ამდენად, გ----------ს მსჯავრი უნდა დაე----ს ქრთამის აღებისათვის, რაც განხორციელდა მისი, როგორც მოხელის მიერ პირდაპირ ფულის მოთხოვნითა და მიღებით, რათა მას თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ განეხორციელებინა ქმედება/თავი შეეკავებინა ქმედების განხორციელებისგან (არ გამოევლინა არადეკლარირებული საქონელი).

4. სასჯელის გამოყენების დასაბუთება

4.1. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს ასევე სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

4.2. ამასთან, სასჯელის დანიშვნის დროს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

4.3. სასამართლო განმარტავს, რომ სასჯელის სამართლიანობა სასამართლომ უნდა შეაფასოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. თითოეული ჩადენილი ქმედება და მისი ჩამდენი პირი თავისი

ინდივიდუალობით გამოირჩევა. შესაბამისად, სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დანიშნული სასჯელი უნდა იყო მკაცრად პერსონალური, თანაზომიერი და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან.

4.4. სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლითაც გ----------ს მსჯავრი უნდა დაე----ს სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს - თავისუფლების აღკვეთას ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე. ამდენად, სასამართლო იმსჯელებს და შეაფასებს გ----------ს პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების გათვალისწინებით, სასჯელის რომელი ზომა იქნება პროპორციული/თანაზომიერი და უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

4.5. დემოკრატიულ სახელმწიფოში სასჯელის მიზანს ადამიანის ფიზიკური ტანჯვა და პირადი დასჯა არ წარმოადგენს. სასჯელი სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს ემსახურება. სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა საზოგადოებისთვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი ქმედებებისთვის არის დადგენილი და ვინაიდან იგი წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სასჯელის სახით გამოყენებული თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა უნდა წარმოადგენდეს ქმედების შესაბამის, რეალურ და პროპორციულ საშუალებას სასჯელის მიზნების მისაღწევად.

4.6. სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს ყურადღებას ამახვილებს გ----------ს პირად და ეკონომიკურ პირობებზე (აქვს უმაღლესი განათლება, ჰყავს ოჯახი, აქვს მძიმე მატერიალური მდგომარეობა, იყო დასაქმებული შემოსავლების სამსახურში), დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანზე (ქმედება ჩადენილია ანგარებითი მოტივით, სარგებლის მიღების მიზნით), გ----------ს ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებაზე (ბრალდებულის მტკიცე სურვილზე, მისწრაფებაზე, კანონსაწინააღმდეგო ქმედების სანაცვლოდ მიეღო სარგებელი), ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებასა და ხასიათზე (ჩადენილია სამოხელეო, მძიმე კატეგორიის დანაშაული, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო სტრუქტურების ნორმალურ ფუნქციონირებას), ქმედების განხორციელების სახესა და ხერხზე (გ---------- დაჰპირდა რ----–----------, რომ **მისი მორიგეობის პერიოდში, უზრუნველყოფდა არადეკლარირებული**

საქონლის შემოწმების (სკანირების) დაუბრკოლებლად გავლას, რისთვისაც გამოართვა 3000 ლარი), ბრალდებულის კანონის შესაბამის და ეთიკურ ქცევაზე სასამართლო განხილვის დროს, გ----------ს ნაწილობრივ აღიარებაზე და ჩადენილი ქმედების გამო სხდომაზე არაერთხელ გამოხატულ სინანულზე, ასევე იმ გარემოებაზე, რომ გ----------ს პიროვნების უარყოფითი მახასიათებლების თაობაზე რაიმე ინფორმაცია ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია და ყველა ზემოაღნიშნული გარემოების ერთობლივად შეფასების შედეგად, **სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ გ----------ს სასჯელად განესაზღვროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა,** რაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და გ----------ს პიროვნების გათვალისწინებით, ასევე სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სრულად შეესაბამება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს (სასჯელის მიზნებს).

4.7. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის **53[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის** თანახმად, დანაშაულის ჩადენა **სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,** არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. ამავე მუხლის **მე-3** ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. **სსკ-ის 53[1]-ე მუხლის მე-4 ნაწილის** შესაბამისად, ***თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში*** მითითებულია ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებაზე, როგორც დანაშაულის **მაკვალიფიცირებელ ნიშანზე,** აგრეთვე ამ კოდექსის 55-ე მუხლით ან 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესი.

4.8. ამდენად, ვინაიდან სსკ-ის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შესაძლოა ჩადენილი იქნეს მხოლოდ მოხელის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (ეს გარემოება მითითებულია სსკ-ის **კერძო ნაწილის მუხლში**, როგორც დანაშაულის კვალიფიკაციისათვის ერთ-ერთი სავალდებულო ნიშანი), შესაბამისად, გ----------ს მიმართ სასჯელის დანიშვნისას

დანაშაულის შემადგენლობის სავალდებულო ნიშანი/მაკვალიფიცირებელი გარემოება - სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორმაგად ვერ დაამძიმებს პასუხისმგებლობას (სასჯელს) და სსკ-ის 53[1]-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, ვერ გახდება უფრო მძიმე სასჯელის დანიშვნის საფუძველი.

5. ნივთიერი მტკიცებულების საკითხის გადაწყვეტა:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად, უნდა გადაწყდეს საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი, კერძოდ:

- გ----------ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა 3 000 ლარის ოდენობით სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს;

- მობილური ტელეფონი სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს;

- გარე მყარი დისკი და ელექტრონული დისკები შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 258-260-ე, 268-269-ე, 271-274-ე, 277-279-ე, 292-293-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ---------- ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. **გ----------ს** მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა გაუქმდეს.

3. **გ----------ს** სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან - 2019 წლის 12 აპრილიდან.

4. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებები:

- გ----------ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა 3 000 ლარის ოდენობით სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს;

- მობილური ტელეფონი სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს;

- გარე მყარი დისკი და ელექტრონული დისკები შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

5. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

6. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მეშვეობით.

მოსამართლე **ალექსანდრე იაშვილი**